,, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილი სხდომის ოქმით N3 დამტკიცებული) დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში:

ა) დებულების **მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,თ" ქვეპუნქტი:**

,, თ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა".

ბ) დებულების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 და მე-20 პუნქტები:

,,19. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელ ცენტრ-ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს გამგე, რომელსაც, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

20. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის გამგის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) ცენტრ-ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე ან ცენტრ-ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ცენტრ-ბიბლიოთეკის ერთ–ერთი თანამშრომელი".

გ) დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

,,12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ცენტრი-ბიბლიოთეკის ფუნქციებია:

ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შექმნილი საბიბლიოთეკო–საარქივო დოკუმენტების მოძიება, შენახვა, შესწავლა–დამუშავება;

ბ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ პუბლიკაციების, საგანმანათლებლო-სამეცნიერო მასალების მოძიება, დამუშავება, შენახვა;

გ) საბიბლიოთეკო–საარქივო ფონდების აღწერა, შესწავლა და სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა;

დ) გამოფენების, პუბლიკაციებისა და გამოცემების მომზადება;

ე) ელექტრონულ კატალოგში საბიბლიოთეკო დოკუმენტების მონაცემების შეტანა“.